



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 1  
28/11/2017

1-06-4-201711281754



### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების საწვავით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის `გ` ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის #27 დადგენილების შესაბამისად:

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად გამოსაყენებელი მუნიციპალურ ან პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფა განხორციელდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის N23 დეკემბრის N#27 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან, შემდეგი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარე - 600 (ექვსასი) ლიტრი;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 350 (სამასორმოცდაათი) ლიტრი;
- გ) განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯამრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - 200 (ორასი) ლიტრი;
- დ) აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - 200 (ორასი) ლიტრი;
- ე) სამანდატო, საპროცედურო, იურიდიული საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - 200 (ორასი) ლიტრი;
- ვ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე 200 (ორასი) ლიტრი;
- ზ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე 200 (ორასი) ლიტრი;

თ) ფრაქცია „ქართული ოცნება, დემოკრატიული საქართველო“-ს თავჯდომარე - 200 (ორასი) ლიტრი;

ი) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე 200 (ორასი) ლიტრი;

კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი 400 (ოთხასი) ლიტრი;

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2017 წლის 16 ივნისის N 31 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი.სიორიძის ქუჩა N 14, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

